ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 276

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ №01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ №01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის № 20.1145.1432 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ №01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, იმ პირობით, რომ მშენებლობის

ნებართვის აღების ეტაპზე წარმოდგენილ იქნას შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციის მდგრადობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა;

ბ) არქიტექტურული ვიზუალის (ფასადების) შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე